

# ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი

## ირაკლი პაპავა

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ იურისტი*

**საკვანძო სიტყვები:** ქარტია, ადამიანის უფლებები, ევროპის კავშირი

## შესავალი

ევროპული ინტეგრაციის საწყისი ეტაპიდან მოყოლებული, ევროპის კავშირის (შემდგომში - „ეკ“, „კავშირი“, „ევროკავშირი“) საქმიანობა ექსკლუზიურად ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხების გადაწყვეტაზე იყო კონცენტრირებული, თუმცა ბრიუსელს ძალიან მალე მოუწია თავისი პირვანდელი მიდგომის შეცვლა და ეკ-ის ფუნქციონირებაში „ადამიანური განზომილების“ შემოტანა. შესაბამისად, ადამიანის უფლებებზე ზრუნვა მან კავშირის შიდა სამართლის განუყოფელ ნაწილად აქცია, რაც, უმთავრესად, მისი ინსტიტუტების, განსაკუთრებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ძალისხმევით პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა.

ამ მიმართულებით სვლის პროცესში, ევროპის კავშირმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკუთარი, სრული კონცეფცია შეიმუშავა და 2000 წლის მიწურულს, ფუნდამენტურ უფლებათა საკუთარი კატალოგიც შეიძინა ძირითადი უფლებების ქარტიის (შემდგომში - „ქარტია“)<sup>1</sup> სახით.

1 იხ. Charter of Fundamental Rights of the European Union. Official Journal of

ეს უკანასკნელი, სხვა თუ არაფერი, თუნდაც იმითაა საინტერესო, რომ იგი, მიღების დროის მიხედვით, ბოლო, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი „ბილია უფლებების შესახებ“. საქართველოსთვის ქარტია არა მარტო მნიშვნელოვან შემეცნებით მასალას წარმოადგენს მოქალაქეთა და მომავალ იურისტთა ზოგადი სამართლებრივი კულტურის ასამაღლებლად, არამედ იგი შეიძლება ერთგვარ ნიმუშად იქცეს ადამიანის უფლებათა სფეროში ქართული კანონმდებლობის სრულყოფისთვის.

წინამდებარე სტატია ეძღვნება ეკ-ის ძირითადი უფლებების ქარტიის თავისებურებებისა და მასში გამოცხადებული უფლებების სამართლებრივი დაცვის საკითხთა ანალიზს, ქარტიის გამოყენების სფეროებს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, აგრეთვე მისი თანაფარდობის განსაზღვრას ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ინსტრუმენტებთან მიმართებით. საგულისხმოა, რომ ქარტიის ბუნდოვანი ან სადავო დებულებები განაწილებულია ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულების საფუძველზე, ევროპის კავშირის პირველად კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა და ქარტიის თითქმის ათწლიანი გამოყენების ქრილში. ამასთან, სტატიის ავტორი იმ დაშვებიდან ამოდის, რომ მკითხველი იცნობს თანამედროვე სახით ჩამოყალიბებამდე ევროკავშირის მიერ განვლილ განვითარების უმთავრეს ეტაპებს, მისი ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს და ეკ-ის სამართალთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს.

## 1. თავისებურებები

### 1.1. ქარტიის ტექსტის შემუშავებელი ორგანო

ძირითადი უფლებების ქარტიის ტექსტის შემუშავების პრინციპული გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1999 წლის 15-16 ოქტომბერს ტამპერეში (ფინეთი) გამართული ევროპული საბჭოს სხდომაზე. ქარტიის პროექტის მოსამზადებლად, შეიქმნა ე.წ. კონვენტი, რომელიც წევრი ქვეყნების, ასევე ევროპის პარლამენტისა და კომისიის წარმომადგენლებისგან შედგებოდა.

ქარტიის ტექსტის შემუშავებელ ორგანოსა და მისი შემუშავების პროცესის ლეგიტიმურობას, თავიდანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან, საერთო ჯამში, სწორედ ეს ორი ელემენტი უნდა ყოფილიყო თავად ქარტიის შემდგომი მხარდაჭერის (მიღების) გარანტია.

კონვენტის შემადგენლობა, ევროკავშირის პრაქტიკაში, ნამდვილად უპრეცედენტო იყო. პრაქტიკულად, ერთიან გუნდად პირველად მოუწიათ თანამშრომლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ევროპული ინსტიტუტების და ეროვნული ორგანოების წარმომადგენლებს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, კავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოებისა და სოციალური ჯგუფების აქტიური მონაწილეობით. კონვენტში მონაწილეობდა: ეროვნული აღმასრულებელი ორგანოების 15 წარმომადგენელი, ევროპის კომისიის თავმჯდომარის წარმომადგენელი, ეროვნული პარლამენტების 30 წარმომადგენელი და ევროპის პარლამენტის 16 წარმომადგენელი. სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე გავლენიანი ძალა, ტრადიციულად, პროფკავშირები იყო, რომლის გვერდითაც აქტიურად გამოვიდა ახალი ძალა ფემინისტური მოძრაობის სახით.<sup>2</sup>

კონვენტის მასშტაბი და პლურალიზმი განპირობებული იყო ქარტიის ტექსტზე მუ-

the European Union C 326, 26.10.2012, pp. 391-407. [http://data.europa.eu/eli/treaty/char\\_2012/oj/05/11/2019](http://data.europa.eu/eli/treaty/char_2012/oj/05/11/2019)); ეკ-ის ძირითადი უფლებების ქარტიის სრული ტექსტის არაოფიციალური ქართულენოვანი თარგმანის სანახაუდ იხ. პაპავა ი., 2017. ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები. თბილისი, გვ. 280-287.

2 იხ. Ушакова Т. Е., 2002. Хартия основных прав Европейского Союза: Два шага вперед и один - назад в процессе европейской интеграции. Белорусский журнал международного права и международных отношений, 2, стр. 4.

შაობის მეთოდის სირთულით, რომელიც მოიცავდა ეკ-ის სამართლის სახელმწიფო-თაშორისი პროცედურისა და ეროვნული საკანონმდებლო პროცესის ელემენტებს, წინასწარი კენჭისყრის პრაქტიკასა და დოკუმენტის კომპრომისული დებულებების მიღებას კონსენსუსის გზით.

ქართია საზეიმოდ იქნა გამოცხადებული ნიცაში (საფრანგეთი), 2000 წლის 7 დეკემბერს, ევროპის პარლამენტის, ეკ-ის საბჭოსა და კომისიის მიერ.

## 1.2. ქართიის მიღების მიზანი, სტრუქტურა და რეგულირების სპეციფიკა

იმ მრავალრიცხოვან მიზნებს შორის, რომლებმაც განსაზღვრეს ქართიის მიღების აუცილებლობა, უმთავრესი მაინც ის იყო, რომ ძირითადი უფლებების ნუსხა ხელმისაწვდომი გამხდარიყო კავშირის მოქალაქეებისთვის. სწორედ ამიტომ, ყველა დებულება ქართიაში გადმოცემულია მაქსიმალურად ლაკონურად, ტერმინთა სიმრავლის გარეშე, რათა იგი მარტივად გასაგები (აღსაქმელი) იყოს თითოეული ადამიანისთვის.

ამასთან, ძირითადი უფლებები აქ წარმოდგენილია სრულიად განსხვავებული, ახლებური სქემით. კერძოდ, მათი კლასიფიკაციის (სისტემატიზაციის) საფუძვლად არჩეულია არა უფლებათა სახე ან მათი გამოყენების სფერო (პირადი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური), არამედ ის ფასეულობები, რომლებსაც ისინი ეფუძნება და იცავს. შედეგად, ქართია ყველა პირად, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებას ერთ მთლიანობაში უყრის თავს და ყველა მათგანს ძირითადი უფლებების რანგში აღიარებს. მეტიც, უფლებათა ეს განსხვავებული კატეგორიები, ერთიან დოკუმენტში კარების მიხედვით ისეა გადანაწილებული, რომ სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები შეიძლება ერთმანეთის გვერდიგვერდ იყოს განთავსებული

(ერთმანეთს ემეზობლებოდეს) ერთსა და იმავე კარში, თუმცა ეს სტრუქტურა ქართური და შემთხვევითი სულაც არაა; იგი საგნებით განსაზღვრულ მიზანს ემსახურება - წინა პლანზე იქნას წამოწეული ადამიანის ღირსება, როგორც უფლებებისა და თავისუფლებების მთლიანი კომპლექსის წყარო და შემკვრელი რგოლი.<sup>3</sup>

ქართია შედგება პრეამბულისგან (მიუთითებს მიღების მიზეზებსა და მიზნებს, მის წყაროებს, ფუძემდებლურ ფასეულობებს) და 54 მუხლისგან, რომლებიც შვიდ კარშია დაჯგუფებული. პირველი ექვსი კარის სახელწოდება აღნიშნავს იმ მნიშვნელოვან პრინციპებს და ფასეულობებს, რომლებსაც კავშირი ეყრდნობა: „ღირსება“ (მუხ. 1-5), „თავისუფლებები“ (მუხ. 6-19), „თანასწორობა“ (მუხ. 20-26), „სოლიდარობა“ (მუხ. 27-38), „მოქალაქეობა“ (მუხ. 39-46) და „მართლმსაჯულება“ (მუხ. 47-50). მეშვიდე კარი (მუხ. 51-54) მოიცავს ზოგად დებულებებს ქართიის ახსნა-განმარტების, ასევე მისი გამოყენების სფეროსა და ფარგლების თაობაზე.

ფაქტობრივად, ძირითადი უფლებების ქართია, რომელიც ერთდროულად საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართლის მოქმედების სფეროში იმყოფება, პირველ ფუნდამენტურ „ზენაციონალურ“ აქტს წარმოადგენს ჰუმანიტარული სამართლის სფეროში.<sup>4</sup> შესაბამისად, ეს დოკუმენტი პირველია, რომელიც მიზნად ისახავს პიროვნების დაცვას არა (ან არა მარტო) სახელმწიფოსა და მისი ორგანოებისგან, არამედ ასევე ზენაციონალური ორგანიზაციისა და მისი ორგანოებისგან. ეს პრინციპული მნიშვნელობის მქონე ფაქტორია: ძირითადი უფლებების წინანდელი (როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო) ქართიებისგან განსხვავებით, რომელთა მიღებაც, უმთავრესად, სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებობისგან ადამიანის დაცვის მიზნით ხდებოდა. ქართია მიმართულია იგივე უფლებებისა და თავისუფლებების

3 იხ. Ушакова, supra სქოლიო 2, გვ. 5.

4 იხ. Кашкин С. Ю., 2001. Хартия Европейского Союза об основных правах и право Совета Европы. Россия и Совет Европы: перспективы взаимодействия; Сб. Докладов. Москва, стр. 97.

დაცვაზე, ოღონდ სხვა პოტენციური დამრღვევისგან - თვით კავშირის ზენაციონალური ორგანოებისგან.<sup>5</sup>

ამგვარად, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ ძირითადი უფლებების ქარტია, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი, სულ მცირე, ეკ-ის მოქალაქეთა საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების მინიმალურ კატალოგს წარმოადგენს კავშირის ინსტიტუტებთან, ორგანოებთან და დაწესებულებებთან ურთიერთობებში, რომლებიც „სამართლით ბოჭავენ“ ამ უკანასკნელის საჭარო ხელი-სუფლებას.<sup>6</sup>

## 2. ქართლის იურიდიული ძალა

ევროპის კავშირი, ქარტიის სავალდებულო ძალის აღიარების მიმართულებით, უკიდურესად რთული გზით მიდიოდა. თავიდან იგი მიღებული იქნა ნიცის ხელშეკრულებასთან ერთად, 2000 წლის დეკემბერში, პოლიტიკური დეკლარაციის რანგში, როგორც იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტი, თუმცა მისი შემუშავება თავიდანვე განხორციელებულ იქნა იმ პერსპექტივით, რომ მას სამომავლოდ ეკ-ის სამართალში არა მხოლოდ სავალდებულო, არამედ უმაღლესი იურიდიული ძალა მიენიჭებოდა. ამასთან, ქარტიის დეკლარაციული სტატუსის მიუხედავად, პრაქტიკულად, მალევე დაიწყო მისი გამოყენება კომისიის, ევროპის პარლამენტის, გენერალური ადვოკატების, ხოლო მოგვიანებით კი (არცთუ მცირეხნისანი ყოყმანის შემდეგ), თვითონ ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს (2009 წლის 1 დეკემბრამდე - ევროპის გაერთიანების სასამართლო) მიერ.<sup>7</sup>

5 იხ. პაპავა ი., 2015. ევროპის კავშირი და ადამიანის უფლებები. ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალი, 1, გვ. 135.

6 იხ. Кудрявцев М. А., 2015. Хартия Европейского Союза об основных правах: от Европы государств - к Европе народов? Международная защита прав человека и государственный суверенитет: мат. Международной научно-практической конференции (отв. ред. Т. А. Сошникова). Изд-во Моск. гуманит. ун-та, Москва, стр. 104.

7 ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლო ქარტიას

მოგვიანებით, როდესაც ევროპა საკონსტიტუციო ეიფორიამ მოიცვა, გადაწყვეტილ იქნა, რომ ქარტია ერთიანი ევროპის კონსტიტუციის ნაწილად ექციათ; ამ მიზნით, იგი, მცირედი ცვლილებებით, ინკორპორირებულ იქნა ევროპისთვის კონსტიტუციის დადგენის შესახებ 2004 წლის ხელშეკრულების პროექტის ტექსტში, მისი ერთ-ერთი დამოუკიდებელი განყოფილების (II ნაწილის) სახით.<sup>8</sup> საგულისხმოა, რომ საერთოევროპული „კონსტიტუციის პროექტის“ წარუმატებლობას, ძირითადი უფლებების საკავშირო ქარტიის იდეაზე უარის თქმა არ გამოუწვევია. ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად, ქარტიის მიმართ სხვა გადაწყვეტილების მიღება მოხდა: იგი გატანილ იქნა ხელშეკრულების ტექსტიდან და მისი ახალი, „ადაპტირებული“ რედაქცია<sup>9</sup> ხელახლა იქნა გამოცხადებული სტრასბურგში (საფრანგეთი) 2007 წლის 12 დეკემბერს, ევროპის პარლამენტის, ეკ-ის საბჭოსა და კომისიის მიერ. შედეგად, ძირითადი უფლებების ქარტია ცალკე დოკუმენტად შეუერთდა ევროკავშირის დამფუძნებელ დოკუმენტებს და, ამოქმედების კვალდაკვალ, 2009 წლის 1 დეკემბრიდან, მათი თანაბარი იურიდიული ძალა მოიპოვა, ეკ-ის შესახებ ხელშეკრულების მე-6(1) მუხლის პირდაპირი მითითების საფუძველზე.<sup>10</sup> შესაბამისად, ქარტია კავშირის ერთ-ერთ ფუძემდებელ აქტად იქცა, რომელიც, ფორმალურად, სამართლის დამოუკიდე-

პირველად 2006 წელს დაეყრდნო საქმეზე C-540/03 Parliament v Council მიღებულ გადაწყვეტილებაში (იხ. Case C-540/03, Parliament v Council, Judgment of 27 June 2006. European Court Reports 2006 I-05769).

8 იხ. Treaty Establishing a Constitution for Europe. Official Journal of the European Union, C310, 16 December 2004. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=OJ:C:2004:310:TOC> (05/11/2019).

9 მოცემულ შემთხვევაში ქარტიის ტექსტის „ადაპტირება“ მხოლოდ ზოგიერთი წმინდა „ტექნიკური ხასიათის“ ცვლილებით შემოიფარგლა, რომელიც არ შეეხება მასში განმტკიცებული უფლებების, თავისუფლებებისა და პრინციპების შინაარსს; ისინი, ძირითადად, ქარტიის გამოყენების წესისა და მოქმედების სფეროს დაზუსტებას დაეთმო.

10 ეკ-ის შესახებ ხელშეკრულების მე-6(1) მუხლში, ვერძოდ, აღნიშნულია, რომ „ძირითადი უფლებების ქარტიას და ხელშეკრულებებს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნიათ“.

ბელ წყაროდ რჩება, რადგან იგი არ შედის არც ეკ-ის შესახებ ხელშეკრულების და არც ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების სტრუქტურაში.

შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ ძირითადი უფლებების ქარტიის ძალაში შესვლა კავშირის ერთ-ერთი ფუნქციონირების აქტის რანგში, რომელსაც უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია, ნიშნავს საერთოევროპული ინტეგრაციის პროცესის გადასვლას ეკ-ის „სულ უფრო მჭიდრო კავშირის“ ფარგლებში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ახალ, უფრო მაღალ დონეზე. ამასთან, ქარტიაში დაფიქსირებული ძირითადი უფლებები, ამ პროცესის საბაზისო პრინციპების რიცხვში შედის.<sup>11</sup>

### 3. მედლის მეორე მხარე: სასამართლო დაცვის საკითხი და გამოყენების შეზღუდული ხასიათი

ძირითადი უფლებების ქარტიამ, მისი არსებობის თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში, განვითარების საკმაოდ ძნელი გზა განვლო და არაერთი მწვავე დისკუსიის საგანიც გახდა. მეტიც, ლისაბონის ხელშეკრულების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში, იგი ლამის ევროპული ინტეგრაციის პროექტის მთელი სამომავლო განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად იქცა. საგულისხმოა, რომ ჩეხეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სწორედ ქარტიის მიმართ მისი უთანხმოების გამო აცხადებდა უარს ლისაბონის ხელშეკრულების ხელმოწერაზე; შესაბამისად, მონაწილე ქვეყნების ხელმძღვანელთა შორის, ის იყო ბოლო სახელმწიფო მეთაური, რომლის ხელმოწერასაც ელოდებოდნენ ამ ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად.<sup>12</sup>

11 იხ. Кудрявцев, supra სქოლიო 6, გვ. 107.

12 იხ. Шишкова Н., 2012. Хартия основных прав Европейского Союза и вопросы судебной защиты. Адвокат, 11, стр. 6.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომაა, რომ ქარტია ასეთი უარყოფითი რეაქციების (ემოციების) პროვოცირებას ახდენს (ახდენდა)? ცოტა არ იყოს, ეს ერთგვარი პარადოქსია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკ-ის ყველა მონაწილე ქვეყანა, პარალელურად, ევროპის საბჭოს წევრები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ასევე ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ფარგლებში ხელმოწერილი უფლებათა დაცვის სხვა ინსტრუმენტების მხარეებიც არიან.

პასუხი ქარტიის ძალიან „კეთილშობილურ“, „გულუხვ“ და ფართო კონცეფციაში უნდა ვეძიოთ, რომელიც სულ სხვა გზით წავიდა, ვიდრე ევროპული კონვენცია. განსხვავებით ამ უკანასკნელისგან, რომლითაც შეზღუდული რაოდენობის (მხოლოდ პირადი და პოლიტიკური ხასიათის ყველაზე მნიშვნელოვანი) უფლებების დაცვა გარანტირებული (რაც სასამართლო კონტროლის ეფექტიანი მექანიზმითაა უზრუნველყოფილი), ქარტია არეგულირებს ყველა თაობის უფლებებს, სოციალური, ეკონომიკური და ე.წ. „თანამედროვე“ უფლებების<sup>13</sup> ჩათვლით. მოკლედ, მისი შემქმნელები შეეცადნენ, ჩამოეყალიბებინათ ადამიანის უფლებათა მაქსიმალურად ფართო კონცეფცია ერთიანი, ყოვლისმომცველი დოკუმენტის სახით.

მსგავს მიდგომას გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ასპექტები. ერთი მხრივ, ქარტია ევროკავშირის სტანდარტის უფლებათა სრულფასოვან ჩამონათვალს ქმნის და ძალიან „გულუხვია“ ინდივიდის (არა მარტო ეკ-ის მოქალაქეთა) მიმართ.

13 საგულისხმოა, რომ ე.წ. „თანამედროვე“ უფლებები არ მოიცავს მხოლოდ ინფორმაციის და ბიოეთიკის სფეროებში მიღწეულ ტექნოლოგიურ პროგრესთან დაკავშირებულ უფლებებს: მაგ., ადამიანური არსების რეპროდუქციული კლონირების აკრძალვა (მუხ. 3(2), პუნ. d) და პერსონალური მონაცემების დაცვა (მუხ. 8). ფართო გაგებით, „თანამედროვე“ უფლებები ითვლება ასევე გარემოს დაცვასთან (მუხ. 37), საზოგადოებრივ მოხმარებასთან (მუხ. 38), კარგ მმართველობასთან (მუხ. 41) დაკავშირებული უფლებები. ამავე ჯგუფს განეკუთვნება ბავშვის უფლებები (მუხ. 24) და კულტურული, რელიგიური და ენობრივი მრავალფეროვნების აღიარებიდან გამომდინარე უმცირესობათა უფლებები (მუხ. 22).

მეორე მხრივ, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვისა და სახელმწიფოს მხრიდან მათი უზრუნველყოფის საკითხებისადმი რიგი ქვეყნების (პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის) პოზიციის გამო, ძალზე რთული აღმოჩნდა ასეთი ფართო კონცეფციის გაზიარება ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ.

ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ქარტიის იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებული პრობლემების მთავარ წყაროდ, სწორედ სოციალური და ეკონომიკური უფლებები იქცა. პრინციპში, ქარტია ძალიან ამბიციური ინსტრუმენტი აღმოჩნდა; მასში გათვალისწინებული უფლებების კატალოგის ტექსტი, რომელიც, თავდაპირველად, პოლიტიკური დეკლარაციის რანგში ყოველგვარი გართულების გარეშე ერთხმად იქნა მიღებული ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, მოგვიანებით მიუღებელი აღმოჩნდა ზოგიერთი ქვეყნისთვის, როგორც სამართლებრივი ხასიათის ინსტრუმენტი. საბოლოო ჯამში, მათ მოახერხეს ქარტიის სამართლებრივი შედეგების შემსუბუქება სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა სფეროში; ეს ორი გზით განხორციელდა: (1) ქარტიის ტექსტისადმი დართული ე.წ. „განმარტებებით“,<sup>14</sup> რომელმაც ქარტიაში გამოცხადებული უფლებები, სასამართლო დაცვის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ორ კატეგორიად - უფლებებად და პრინციპებად დაყო<sup>15</sup> და (2) ლისაბონის ხელშე-

კრულების მიერ ეკ-ის დამფუძნებელი დოკუმენტებისადმი თანდართული №30 ოქმის მეშვეობით, რომლითაც ძირითადი უფლებების ქარტიის გამოყენება შესუსტებულ იქნა გაერთიანებული სამეფოსა და პოლონეთის მიმართ. შედეგად, ეკონომიკური და სოციალური უფლებების სფეროში მნიშვნელოვნად დავიწროვდა ქარტიის მოქმედების ფარგლები თან ისე, რომ, ერთი შეხედვით, არ მომხდარა მასში დეკლარირებული უფლებების პირდაპირი შემცირება. ფაქტობრივად, „განმარტებების“ წყალობით, უფლებათა ნაწილი მოკლებულ იქნა სასამართლო დაცვის შესაძლებლობას.

ქარტიიდან გამომდინარე, უფლებების სასამართლო წესით დაცვასთან დაკავშირებით, აუცილებელია ითქვას კიდევ ერთი პრობლემის შესახებ: ძირითადი უფლებების ქარტია, ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, არ ქმნის კონტროლის საკუთარ მექანიზმს, დამოუკიდებელი სასამართლო პროცედურის სახით; ყოველ შემთხვევაში, არც დამფუძნებელი დოკუმენტები და არც ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს შიდა რეგლამენტი სარჩელის არანაირ ახალ ტიპს არ ითვალისწინებს ძირითადი უფლებების დარღვევის გამო წარმოშობილი დავებისთვის.<sup>16</sup> შესაბამისად, სასამართლო დაცვა მართლმსაჯულების სასამართლოს დონეზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სარჩელთა აქამდე არსებული ტიპების ფარგლებში. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ კერძო (ფიზიკური და იურიდიული) პირები ევროკავშირის სასამართლო სისტემის ფარგლებში გამოდიან, როგორც არაპირვილევირებული მოსარჩელები (გან-

14 იხ. Explanations relating to the Charter of Fundamental Rights. 14.12.2007. Official Journal of the European Union, 2007/C 303/02, p. 17. იგი ჯერ კიდევ კონვენციის პრეზიდიუმის მიერ იქნა მომზადებული. ლისაბონის ხელშეკრულების მიღების შესაბამისად, „განმარტებებს“ ოფიციალური ინტერპრეტაციის დოკუმენტის სტატუსი გააჩნია: სწორედ მის მიხედვით უნდა წარმართოს ქარტიის ახსნა-განმარტების პროცესი; იგი გათვალისწინებული უნდა იქნას კავშირისა და წევრი ქვეყნების სასამართლოების მიერ. ეს პრინციპი განმტკიცებულია როგორც ქარტიით (იხ. პრეამბულა და 52(7)-ე მუხლი), ისე დამფუძნებელი დოკუმენტებით (იხ. ხელშეკრულება ეკ-ის შესახებ, მუხ. 6(1), ბოლო აბზაცი).

15 აქედან პირველ მათგანზე პირდაპირი მითითება სასამართლო წესით დაცვას იწვევს, - მაშინ, როდესაც მეორე მათგანი საკანონმდებლო აქტებში დამატებით გარანტიას (განვითარებას) საჭიროებს და მისი უზრუნველყოფა კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ განვი-

თარებასა და ეკონომიკურ სექტორში მისი ჩარევის ხარისხზე დამოკიდებული.  
16 მეტიც, ერთმნიშვნელოვნად იქნა ვაცხადებული, რომ ლისაბონის ხელშეკრულების მიერ ძირითადი უფლებების ქარტიისთვის სავალდებულო, „კონსტიტუციური“ ძალის მინიჭება სრულდებოდაც „...არ აფართოვებს კავშირის სამართლის მოქმედების სფეროს მისი კომპეტენციის ფარგლებს გარეთ, არც არავითარ ახალ კომპეტენციას ან ამოცანებს ქმნის კავშირისთვის და არც ხელშეკრულებებით განსაზღვრულ კომპეტენციასა და ამოცანებს ცვლის“ (იხ. ქარტია, მუხ. 51(2)).

სხვაგვებით წევრი ქვეყნებისა და ორგანოებისგან). მათი მონაწილეობა პირდაპირ სარჩელებში შესაძლებელია მხოლოდ ბათილობის თაობაზე აღძრული სარჩელების ფარგლებში (იხ. ხელშეკრულება ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ, მუხ. 263, აბზაცი 4), თან ასეთი პირი ვალდებულია, დაამტკიცოს თავისი locus standi, - ის, რომ სადავო აქტი მას უშუალოდ და ინდივიდუალურად ეხება.

აღსანიშნავია, რომ „ინდივიდუალური“ შემხებლობის დამტკიცების მოთხოვნა პრაქტიკაში თითქმის გადაუღაბავ დაბრკოლებას წარმოადგენს, კონკრეტულად, რეგლამენტებთან და დირექტივებთან მიმართებით, ვინაიდან შეუძლებელია ზოგადი მოქმედების ამ აქტების ინდივიდუალური ხასიათის დადასტურება. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეკ-ის სამართალში, ინდივიდის პროცესუალური სტატუსის საკითხი ფართო განხილვის საგნად იქცა, რაც, საბოლოო ჯამში, ნაწილობრივი გადაწყვეტილების მიღებით დასრულდა: ზემოაღნიშნული შეზღუდვები მოიხნა მხოლოდ ზოგიერთი, კერძოდ, ზოგადი მოქმედების ამ აქტების მიმართ, რომლებიც არ საჭიროებენ საიმპლემენტაციო ზომების მიღებას (regulatory acts).

ცალკე საუბრის თემაა ქარტიის შეზღუდული მოქმედება წევრი ქვეყნების ქმედებათა მიმართ. მართალია, მისი მიღებისას ეკ-ის წევრი სახელმწიფოები არ ახდენდნენ, საკუთრივ, ამ განზრახვის აფიშირებას, მაგრამ თვითონ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ისინი ცდილობდნენ, მაქსიმალურად შეევიწროვებინათ ქარტიის გამოყენების სფერო და, ამავდროულად, შეეზღუდათ მართლმსაჯულების სასამართლოს (რიგი ქვეყნების აზრით, მეტისმეტი) აქტიურობა ამ მიმართულებით.

სასამართლოს აქტიურობის გზაზე კი, მთავარ ბარიერად ქარტიის 51(1)-ე მუხლში გაკეთებული დათქმა უნდა ქცეულიყო, რომლის თანახმადაც, ეკ-ის წევრი სახელმწიფოები ძირითადი უფლებების ქარტიის ნორმების „აღრესატებად“ მხო-

ლოდ მაშინ გამოდიან, როცა „ისინი უზრუნველყოფენ კავშირის სამართლის განხორციელებას“. სწორედ ქარტიის ამ თავისებურებამ მისცა საფუძველი სამართლის პროფესორს გრეინ დე ბურკას, რომ მის მიმართ (იმ მომენტისთვის ქარტიას ჯერ კიდევ მხოლოდ დეკლარაციის სტატუსი გააჩნდა) ტერმინი «showcase» გამოეყენებინა, რაც, კონტექსტის გათვალისწინებით, ქართულ ენაზე შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ბუტაფორია“, რომელიც წევრი ქვეყნების მიერ მხოლოდ იმ განზრახვით იქნა შექმნილი, რომ კავშირისთვის მეტი ლეგიტიმურობა მიენიჭებინათ.<sup>17</sup>

ამასთან, საკითხისადმი მსგავსი მიდგომა მკვეთრად განსხვავდებოდა ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ თავის გადაწყვეტილებებში ადრე გამოყენებული ფორმულირებისგან, რომლის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს წევრი ქვეყნების ქმედებები ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ქმედებები „ეკ-ის სამართლის სფეროში“ ექცევა.<sup>18</sup>

ბევრი მკვლევარი ქარტიის გამოყენების ასეთ შეზღუდულ ხასიათს მათ შორის იმასაც უკავშირებენ, რომ მართლმსაჯულების სასამართლო არაა მზად, გამოიტანოს გადაწყვეტილებები ევროკავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებულ ყველა საქმეზე, თუმცა მსგავსი პოზიცია აშკარად ეწინააღმდეგება უშუალოდ სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც ქარტიის ძალაში შესვლის შემდეგ ჩამოყალიბდა. თავის გადაწყვეტილებებში,

17 იხ. Burka G. de, 2004. Beyond the Charter: How Enlargement Has Enlarged the Human Rights Policy of the European Union. Fordham International Law Journal, 27, p. 694.

18 ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით, წევრი ქვეყნების ყველა იმ ქმედებაზე თავისი კონტროლის შესახებ, რომლებიც, პრინციპში, „კავშირის სამართლის მოქმედების სფეროში“ («in the scope of Union law») იმყოფება, ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლომ პირველად 1997 წელს Annibaldi-ს საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა (იხ. Case C-309/96, Daniele Annibaldi, Judgment of 18 December 1997. European Court Reports 1997 I-7493).

მართლმსაჯულების სასამართლო, ყოველ-  
მხრივ ცდილობს, გაათავოთოვოს ქარტი-  
ის გამოყენების სფერო. ამ კონტექსტში,  
საინტერესოა მის მიერ ბოლო პერიოდში,  
თითქმის ერთდროულად მიღებული ორი  
გადაწყვეტილება, რომლებშიც მან ჩამო-  
აყალიბა ქარტიის, ასევე იმ შემთხვევების  
თავისეული გაგება, თუ როდის უნდა იქნას  
ეს ქარტია გამოყენებული.

ფრანსონის საქმეზე<sup>19</sup> მიღებულ გადა-  
წყვეტილებაში, ეკ-ის მართლმსაჯულების  
სასამართლომ, მნიშვნელოვნად გაათავო-  
თოვა ძირითადი უფლებების ქარტიის  
გამოყენების სფერო და, შესაბამისად,  
თავისი იურისდიქცია ამ საკითხებში. კერ-  
ძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ, ქა-  
რტიის 51-ე მუხლის კონტექსტში, მისი დე-  
ბულებების გამოსაყენებლად, საკმარისია  
დადგინდეს, რომ ეროვნული კანონმდებ-  
ლობის სადავო ნორმას რაიმე სახის კავ-  
შირი (connection) აქვს ეკ-ის სამართალთან  
(ამით იგი, ფაქტობრივად, დაუბრუნდა თა-  
ვის ადრინდელ ფორმულას, რომელსაც  
ქარტიის ძალაში შესვლამდე იყენებდა).  
შედეგად, 51(1)-ე მუხლის ამგვარი, კრეა-  
ტიული ახსნა-განმარტების წყალობით, სა-  
სამართლოს შესაძლებლობა ეძლევა, სუ-  
რვილის არსებობის შემთხვევაში, ქარტიის  
კონტროლის ქვეშ მოაქციოს ნებისმიერი  
ეროვნული დონის იგივე, თუ ამ უკანას-  
კნელს ეკ-ის სამართალთან რაიმე სახის  
კავშირი (შემხებლობა) ექნება.

მართლმსაჯულების სასამართლოს მი-  
ერ ქარტიის ახსნა-განმარტების არანა-  
კლებ საინტერესო მაგალითია მელონის  
საქმეზე<sup>20</sup> მიღებული გადაწყვეტილება, რო-  
მელშიც სასამართლო იძლევა განმარტე-  
ბას ქარტიის 53-ე მუხლის გამოყენებასთან  
დაკავშირებით, რაც ეკ-ის დონეზე ადამი-  
ანის უფლებათა დაცვის თანაფარდობის  
საკითხს ეხება ადამიანის უფლებათა და-  
ცვის ეროვნულ სისტემასთან. ქარტიის 53-ე  
მუხლის შესაბამისად, მისი არცერთი დე-

ბულება არ შეიძლება განიმარტოს წევრი  
ქვეყნების კონსტიტუციებით დაცული ადა-  
მიანის უფლებებისა და თავისუფლებების  
საზიანოდ. ჩვეულებრივ, აქ იგულისხმებო-  
და, რომ წევრი ქვეყნები უფლებამოსილნი  
არიან, ძირითადი უფლებების ქარტიასთან  
შედარებით, ადამიანის უფლებათა უფრო  
ეფექტიანი დაცვა უზრუნველყონ, თუმცა  
აღმოჩნდა, რომ ეკ-ის მართლმსაჯულების  
სასამართლო ამ საკითხზე სულ სხვა აზრის  
ყოფილა. მან ქარტიის ეს მუხლი სხვაგვარ-  
ად განმარტა და მიუთითა, რომ ეროვნულ  
კონსტიტუციურ ტრადიციებთან ეკ-ის სამა-  
რთლის რომელიმე ნორმის შეუსაბამობა  
არ წარმოადგენს კავშირის სამართლის  
ნორმის გამოუყენებლობის საფუძველს მა-  
შინაც კი, თუ ადამიანის უფლებათა დაცვის  
შესაძლებლობები ეროვნული სისტემის  
ფარგლებში უფრო ფართოა. შესაბამისად,  
სახელმწიფოს უფლება არა აქვს, გვერდი  
აუაროს კავშირის სამართლის აღსრულე-  
ბას იმ საბაბით, რომ მისი შიდა კანონმდებ-  
ლობა დაცვის უფრო მაღალ ხარისხს (დო-  
ნეს) ითვალისწინებს, ვიდრე ქარტია.

ფრანსონის და მელონის საქმეებზე მი-  
ღებულმა გადაწყვეტილებებმა, მოლოდი-  
ნისამებრ, არაერთგვაროვანი შეფასებები  
გამოიწვია მკვლევართა შორის. ერთნი  
მათში ბალანსის ამკარა ცვლილებას ხედა-  
ვენ ქარტიის უზენაესობის სასარგებლოდ  
როგორც ადამიანის უფლებათა ევროპუ-  
ლი კონვენციის, ისე ეკ-ის წევრი ქვეყნების  
ეროვნული კონსტიტუციების მიმართ.<sup>21</sup> მეო-  
რენი კი საუბრობენ მართლმსაჯულების სა-  
სამართლოს ახალ მცდელობაზე, კავშირის  
სამართლის პრიორიტეტიდან გადავიდეს  
ეროვნული კონსტიტუციების მიმართ ეკ-ის  
სამართლის სრულფასოვან უზენაესობაზე.  
ამასთან, აღნიშნავენ, რომ სასამართლო,  
ამიერიდან, იქიდან ამოდის, რომ საკონ-  
სტიტუციო სასამართლოებთან კონფლიქ-  
ტის შემთხვევაში, ბოლო სიტყვის უფლება  
მას გააჩნია.<sup>22</sup>

19    ob. ECJ, Case C-617/10, Akerberg Fransson, Judgment of 26 February 2013.  
20    ob. ECJ, Case C-399/11, Stefano Melloni v. Ministerio Fiscal, Judgment of 26 February 2013.

21    ob. Lavranos N., 2103. The ECJ's Judgments in Melloni and Akerberg Fransson: Uneménage à trois difficulté. European Law Reporter, 4, p. 140.  
22    ob. Besselink L., 2014. The Parameters of Constitutional Conflict after Melloni. European Law Review, 4 (39),

რაც შეეხება მართლმსაჯულების სასამართლოს ამ გადაწყვეტილებებზე ეროვნული უზენაესი სასამართლოების რეაქციას, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი წევრი ქვეყნებიდან, მინიმუმ, ერთი მათგანის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე იქნა აღქმული, როგორც საკუთარი პრეროგატივების ხელყოფა. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ, სულ რაღაც რვა კვირის შემდეგ მიღებულ თავის გადაწყვეტილებაში მოიხსენია ფრანსონის საქმეზე ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება და მკვეთრად აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების სასამართლო არ წარმოადგენს სათანადო მსაჯულს წმინდა შინადასახელმწიფოებრივ საკითხებში.<sup>23</sup> მეტიც, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ აზრით, მართლმსაჯულების სასამართლო ძალიან მიუახლოვდა იმ ზღვარს, რომ მისი გადაწყვეტილება ცნობილი იქნას *ultra vires*, ე.ი. უფლებამოსილების აშკარა გადამეტებით მიღებულად.<sup>24</sup>

მოკლედ, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ათი წლის თავზე შეიძლება ითქვას, რომ ეკ-ის წევრი ქვეყნები მათ მიერვე ჯერ კიდევ 2000 წელს გამზადებულ ხაფანგში მოყვნენ, როდესაც ქარტიის ტექსტზე მუშაობის პროცესში მათ უმთავრეს სურვილს, ქარტიიდან ეკ-ის ერთგვარი ვიტრინის შექმნა და მისი გამოყენების სფეროს მაქსიმალურად შეზღუდვა წარმოადგენდა. ცხადია, ქარტია, რომელსაც სავალდებულო ძალა გააჩნია კავშირის პირველადი სამართლის დონეზე, უკვე ნამდვილად აღარ არის ვიტრინა და, მით უმეტეს, არც ბუტაფორია.<sup>25</sup>

#### 4. ქარტიის თანაფარდობა ადამიანის უფლებათა მარეგულირებელ სხვა ინსტრუმენტებთან

##### 4.1. ქარტია vs ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენცია

ძირითადი უფლებების ქარტიის 52(3)-ე მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევებში, როდესაც ქარტია შეიცავს უფლებებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით (შემდეგში - „კონვენცია“, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“, „აუეკ“) გარანტირებულ უფლებებს შეესაბამება, მათ იგივე მნიშვნელობა და ფარგლები გააჩნიათ, როგორც ეს მათ აღნიშნული კონვენციით აქვთ მინიჭებული. უმთავრესად, ეს ეხება პირად და პოლიტიკურ უფლებებს (სიცოცხლის უფლება, პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება, გაერთიანების თავისუფლება და სხვ.). ქარტიის „განმარტებების“ თანახმად, მისი 12 მუხლი იმეორებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამის მუხლებს, ხოლო კიდევ 7 მუხლი კი, მართალია, შეესაბამება კონვენციის მუხლებს, მაგრამ, ამ უკანასკნელთან შედარებით, მათ გამოყენების უფრო ფართო სფერო გააჩნიათ.<sup>26</sup> ეს მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ ეკ-ის ყველა წევრი სახელმწიფო, სავალდებულო წესით, კონვენციის მონაწილეები არიან; ამასთან, ქარტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო სწორედ ეს კონვენციაა. ვინაიდან აუეკ ცოცხალ, განვითარებად დოკუმენტს წარმოადგენს, ხოლო მის მიერ გარანტირებული უფლებების შინაარსი და მოცულობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდეგში - „აუეს“, „ევროპული სასამართლო“) გადაწყვეტილებებში გა-

pp. 531-552.

23 იხ. Federal Constitutional Court. Press release no. 31/2013 of 24 April 2013. Judgment of 24 April 2013 // 1 BvR 1215/07.

24 იხ. Editorial Comments, 2013. „Ultra vires - has the Bundesverfassungsgericht shown its teeth?“ Common market law review, vol. 50 / Issue 4, pp. 925-930.

25 იხ. Исполинов А. С., 2012. Хартия Основных Прав ЕС: Опыт первых трех лет применения. Евразийский юридический журнал, 12 (55), стр. 65.

26 იხ. Рябова В. О., 2014. Европейская конвенция прав человека и Хартия ЕС об основных правах - сравнительный анализ толкования и применения Судом ЕС и Европейским Судом по правам человека. Московский журнал международного права, 4 (96), стр. 176.

ნისაზღვრება, ქარტიამ, ხოლო შემდეგ კი ლისაბონის ხელშეკრულებამ, ფაქტობრივად, განამტკიცეს კონვენციისა და აუეს-ს სასამართლო პრაქტიკის რეცეფცია ეკ-ის შიდა სამართალში. შედეგად, თუ ერთი და იგივე უფლება ერთდროულად ქარტიაშიც არის განმტკიცებული და კონვენციაშიც, მის სუბიექტს აუეკ-ით გათვალისწინებული უფლებამოსილებებისა და გარანტიების მთელი კომპლექსი გააჩნია (მაშინაც კი, როცა ეს უფლებამოსილებები და გარანტიები ქარტიაში პირდაპირ არ არის მითითებული).<sup>27</sup> თუმცა, თავისთავად, ძირითადი უფლებების ქარტიის ასეთი მიზნულობა კონვენციისადმი, ხელს არ უშლის ევროპის კავშირს, გააფართოვოს შესაბამისი უფლებების შინაარსი და გარანტიები კონვენციით გათვალისწინებულ ანალოგიურ უფლებებთან შედარებით (იხ. ქარტიის 52(3)-ე მუხლის ბოლო წინადადება).

ასე რომ, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა შესახებ ეკ-ისა და ევროპის საბჭოს ძირითად აქტებს შორის არანაირი წინააღმდეგობა არაა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ქარტიისთვის სავალდებულო ძალის მინიჭებამ, რამდენიმე რთული სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა გააჩნია. მათ შორის, უმთავრესად, დღემდე ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროპული სასამართლოს განსხვავებულ მართლწესრიგს (იურისდიქციას) შორის შესაძლო კოლიზია რჩება.<sup>28</sup> ამას ემატება ისიც, რომ კონვენციასთან კოლექტიური წევრის რანგში ევროკავშირის შეერთების კუთხით განხორციელებული მცდელობა (მიუხედავად ვალდებულებებისა) უშედეგოდ დასრულდა,<sup>29</sup> ხოლო, სა-

კუთრივ, ქარტია კი, ამ მიმართულებით, არანაირ ისეთ დებულებას არ შეიცავს, რომელსაც რეალურად ხელეწიფება მსგავსი კოლიზიების მოგვარება. აქ საგულისხმოა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: თუკი, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე და ქარტიის დებულებებზე ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს იურისდიქციის გავრცელებამდე ეს უკანასკნელი ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემას მის მიერვე შექმნილი პრეცედენტული სამართლის მეშვეობით წყვეტდა (ეკ-ის დონეზე ადამიანის უფლებათა საკუთარი „კატალოგის“ არარსებობის გამო) და, ამასთან, ხშირად ეყრდნობოდა კონვენციის ნორმებს და ამ ნორმების ევროპული სასამართლოსეულ ახსნა-განმარტებას,<sup>30</sup> ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, აუეკ-ისა და აუეს-ს პრაქტიკისადმი მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართვის შემთხვევები საგრძნობლად შემცირდა.

აღნიშნულ კონტექსტში, საინტერესოა 2012 წელს, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორის, გრეინ დე ბურკას მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. კერძოდ, კვლევის მსვლელობისას დათვლილი იქნა, 2009 წლის დეკემბრიდან 2012 წლის სექტემბრის ჩათვლით, ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში რამდენჯერ დაეყრდნო ქარტიის თუ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებე-

27 იხ. Кашкин С. Ю., 2001. Хартия Европейского Союза об основных правах. Комментарии. Москва, стр. 148.

28 იხ. Казинян А. Г., 2003. Хартия основных прав Европейского Союза. Московский журнал международного права, 1 (49), стр. 93.

29 ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის (2009 წლის 1 დეკემბერი) შემდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთება ევროკავშირის პირდაპირ ვალდებულებად იქნა განსაზღვრული ეკ-ის შესახებ ხელშეკრულების მე-6(2) მუხლის სა-

ფუძველზე, თუმცა კავშირმა ვერ შეძლო დასახული ამოცანის გადაჭრა. შეერთების შესახებ მხარეთა მიერ შეჯერებული შეთანხმების პროექტის მიმართ ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს უარყოფითმა დასკვნამ (იხ. ECJ, Case Opinion 2/13, Opinion of the Court (Full Court) of 18 December 2014, ECLI:EU:C:2014:2454) ეს დებულება, პრაქტიკულად, მკვდარ წერტილად აქცია; მეტიც, ისე ჩანს, რომ უახლოეს პერსპექტივაში იგი, რეალურად განხორციელებად ვალდებულებებზე მეტად, კეთილ სურვილად დარჩენისთვის იქნება განწირული.

30 აღსანიშნავია, რომ ევროპის გაერთიანების სასამართლომ პირველად 1975 წელს Rutili-ს საქმეში მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოზე, როგორც იმ „პრინციპების უზრუნველყოფ“ ორგანოზე, „რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას დაცული მათ შორის გაერთიანებათა სამართლის ფარგლებში“ (იხ. Case 36-75, Roland Rutili v Minister for the Interior, Judgment of the Court of Justice of 28 October 1975).

ბის დებულებებს. სასამართლოს მიერ ქართის დებულებების საფუძველზე მიღებული 78 გადაწყვეტილებიდან, მხოლოდ 10 მათგანი შეიცავდა მითითებებს კონვენციაზე, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია კი, 5 გადაწყვეტილებაში ფიგურირებდა.<sup>31</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ქარტია ევროპულ კონვენციაში განმტკიცებული დებულებების უმეტესობას ასახავს, ზემოხსენებული კვლევა ნათლად ცხადყოფს, რომ მართლმსაჯულების სასამართლო, ამ დოკუმენტს სულ უფრო ხშირად განმარტავს და იყენებს კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკისგან დაშორებით.<sup>32</sup> მსგავსი ტენდენცია, ძალაუნებურად, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს ეს კონვენცია უკვე ნაკლებად სჭირდება; მას აქვს ძირითადი უფლებების ქარტია, რომელიც სავსებით საკმარისია ევროკავშირში ადამიანის უფლებათა დასაცავად. შესაბამისად, სამომავლოდ, მისთვის სწორედ ქარტია იქნება ის ძირითადი წყარო, რომელიც გამოყენებას ექვემდებარება, ხოლო კონვენცია სასამართლოს მიერ გამოყენებული იქნება, როგორც ერთგვარი „სახელმძღვანელო საწყისი და შთაგონების წყარო“.<sup>33</sup>

ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი უფლებების ქარტის შემუშავება, გარკვეულწილად, პოლიტიკური სიგნალი იყო, რაც ეკ-ის სრული ავტონომიის შენარჩუნებისკენ სწრაფვას ადასტურებს.<sup>34</sup>

## 4.2. ქარტია vs კავშირის დამფუძნებელი დოკუმენტები

ქარტის დებულებებისა და ეკ-ის დამფუძნებელი ხელშეკრულებების ნორმათა თანაფარდობა, ძირითადი უფლებების ქარტის 51-ე და 52(2)-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარეობს.

ქარტის 52(2)-ე მუხლის მიხედვით, თუ რომელიმე უფლება ერთდროულად განმტკიცებულია როგორც ქარტის, ისე ევროკავშირის დამფუძნებელი დოკუმენტების ტექსტში, მისი რეალიზაცია უნდა მოხდეს სწორედ დამფუძნებელი დოკუმენტებით განსაზღვრული პირობებისა და ფარგლების შესაბამისად. ეს მუხლი გულისხმობს, რომ ქარტია მხოლოდ ადასტურებს უფლებათა არსებობას და მას არანაირად არ შეუძლია, შეცვალოს მათი ახსნა-განმარტება. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქარტის დებულებები უფრო ფართოა, ვიდრე დამფუძნებელი ხელშეკრულებების სათანადო ნორმები, გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფა ხორციელდება ხელშეკრულებებით დადგენილ ფარგლებში.

ქარტის 52(2)-ე მუხლი კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ დოკუმენტის სირთულეზე. კერძოდ, იგი განამტკიცებს კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებების პრივილეგიურ იურიდიულ სტატუსს ქარტიასთან მიმართებით.<sup>35</sup> ეს პარაგრაფი ქარტის საბოლოო ტექსტში ჩართული იქნა იმ მიზეზით, რომ მასში განმტკიცებული მრავალი (ძირითადად, ეკონომიკური და სამოქალაქო) უფლებისა და თავისუფლების პირველად და უმთავრეს წყაროს, სწორედ დამფუძნებელი ხელშეკრულებები წარმოადგენს, რომელთა დებულებებშიც, ზოგიერთი ეს უფლება და თავისუფლება, ჯერ კიდევ 1957 წელს იქნა ასახული და დაწვრილებით იქნა განმარტებული როგორც დამფუძნებელ აქტებში, ისე მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებში. მაგალითად, კავშირის მოქალაქის უფლება, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოში ენოდეს შრომით საქმიანობას (ქარტის მუხლი

31 იხ. The European Court of Justice / Edited by Grainne de Burca and J.H.H. Weiler. Oxford University Press, New York, 2012.

32 იხ. Пянова, supra სქოლიო 26, გვ. 181.

33 იხ. Rosas A., 2011. Is EU a human right organisation? First annual CLEER lecture. CLEER Working Papers, 1, p. 6. <https://www.asser.nl/media/1624/cleer-wp-2011-1-rosas.pdf> (07/11/2019)

34 იხ. გაბრიჩიძე გ., 2002. ადამიანის უფლებათა დაცვა და ევროპის გაერთიანების სამართალი. ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში: სტატიათა კრებული (რედ. კ. კორკულია), თბილისი, გვ. 32.

35 იხ. Казинян, supra სქოლიო 28, გვ. 84.

15, პარაგრაფი 2), ევროკავშირის ერთიანი შიდა ბაზრის ფარგლებში მუშახელის გადაადგილების თავისუფლების (ხელშეკრულება ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ, მუხ. 45-48) საკვანძო ელემენტს წარმოადგენს.

ქარტიისა და კავშირის სამართლის თანაფარდობის კონტექსტში, ზოგიერთი უფლების შემთხვევაში, ადგილი აქვს სამართლებრივი გარანტიის მოცულობისა და ფარგლების განსაზღვრასთან დაკავშირებულ პრობლემებს.<sup>36</sup> მაგალითად, ქარტიის 45(1)-ე მუხლი წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ეკ-ის მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების და ცხოვრების უფლების შესახებ, არ შეიცავს ამ უფლების შეზღუდვას, თუმცა ქარტიის 52(2)-ე მუხლიდან გამომდინარე, მისი გამოყენება ხორციელდება ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 21-ე მუხლის შეზღუდვების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, ვხვდებით ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ქარტიით განმტკიცებული ძირითადი უფლება არ განეკუთვნება ევროპის კავშირის კომპეტენციას. ასეთია, მაგალითად, ქარტიის მე-14 მუხლი (განათლების უფლება). ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 165(1)-ე მუხლის თანახმად, კავშირს შეუძლია მხოლოდ ხელი შეუწყოს ხარისხიანი განათლების განვითარებას, წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის წახალისებისა და მათი საქმიანობის მხარდაჭერა-შევისების გზით; ამასთან, კავშირის ამგვარი ქმედება, არამც და არამც არ შეიძლება შეეხოს წევრი ქვეყნების კომპეტენციას, განათლების შინაარსთან და საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზაციასთან მიმართებით. ასეთ ვითარებაში, განმსაზღვრელი იქნება ქარტიის 51(1)-ე მუხლის დათქმა, რომ კავშირის ინსტიტუტების, ორგანოებისა და სხვა დაწესებულებების და წევრი ქვეყნების მიმართ ქარტია მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როცა ისინი ეკ-ის სამართლის განხორციელებას უზრუნველყოფენ, აგრეთვე ქარტი-

ის 51(2)-ე მუხლი, სადაც ხაზგასმითაა გაცხადებული, რომ ძირითადი უფლებების ქარტია კავშირისთვის არავითარ ახალ კომპეტენციას ან ამოცანებს არ ქმნის და არც დამფუძნებელი ხელშეკრულებებით განსაზღვრულ კომპეტენციას და ამოცანებს ცვლის. ამ დებულებების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ქარტიის მე-14 მუხლი, პრინციპში, წმინდა დეკლარაციულ ხასიათს ატარებს.

ფაქტობრივად, თქმული კიდევ ერთი, დამატებითი დადასტურებაა იმისა, რომ ძირითადი უფლებების ქარტია, *ratione materiae*, იმაზე მეტ ძირითად უფლებებს შეიცავს, ვიდრე ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ შეიძლება ეფექტიანად უზრუნველყოს.<sup>37</sup>

### დასკვნა

ძირითადი უფლებების ქარტია ასახავს ეკ-ის სწრაფვას, გაზრდილ იქნას ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივი დაცვის დონე და ფარგლები კავშირის შიგნით. იგი არსებითად აძლიერებს პოლიტიკურ ელემენტს, რაც, პირველყოვლისა, ადამიანის „ევროპული“ უფლებებით აღჭურვასა და ეკ-ის დონეზე მათ განმტკიცებაში გამოიხატება.

ქარტია, ერთგვარად, აჭამებს ადამიანის უფლებათა იდეის კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლის მთელ წინამორბედ განვითარებას არა მარტო ევროპაში, არამედ მთელს მსოფლიოში.<sup>38</sup> აღნიშნული თვალსაზრისით, იგი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო და ევროპული შეთანხმებების, აგრეთვე ევროპის ცალკეული ქვეყნების კონსტიტუციური ტრადიციებისა და პრაქტიკის ზოგადი კოდიფიკაციის შედეგი. ამასთან, ქარტია არ ცვლის უფლებათა არსებულ რეგულირებას

36 დაწვრილებით იხ. Lenaerts K., Smijter de E., 2001. A “Bill of Rights” for the European Union. Common Market Law Review, 32, p. 282.

37 იხ. Ушакова, supra სქოლიო 2, გვ. 7.

38 იხ. პაპავა ი., 2017. ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები. თბილისი, გვ. 65.

ევროპაში, იგი მხოლოდ ცდილობს, ახალ დონეზე გადაიყვანოს ეს უკანასკნელი. მის ამოცანას წარმოადგენს არა იმდენად რაიმე ახლის თქმა ადამიანის უფლებების შესახებ, რამდენადაც უფრო ნათლად გამოხატვა იმისა, რაც უკვე თქმულა ამ თემის გარშემო.<sup>39</sup>

შესაბამისად, ძირითადი უფლებების ფორმულირებათა სიმარტივისა და უნიკალური კლასიფიკაციის (რომლის საფუძვლად აღებულია არა ძირითადი უფლების საგანი, არამედ ფასეულობები, რომელთა დაცვაზეც ისინია მიმართული) წყალობით, ქარტიაში ხალხისთვის გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით თვალნათლივანა ჩვენები ევროინტეგრაციის პროცესის „ადამიანური განზომილების არსი“ და ძირითად უფლებათა განუყოფელი კავშირი ეკ-ის დამფუძნებელ დოკუმენტებში დაფიქსირებულ მის საბაზისო პრინციპებთან (ფასეულობებთან). ქარტია ყველა პირად, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებას ერთ მთლიანობაში უყრის თავს და ყველა მათგანს ძირითადი უფლების რანგში აღიარებს. სოციალური უფლებები თავიანთი არსით, თუმცა ბევრ რამეში ინარჩუნებს პროგრამულ ხასიათს, მაგრამ „მეორეხარისხოვნად“ აღარ ითვლება.

დღეისათვის, ძირითადი უფლებების ქარტია, სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტი და ეკ-ის პირველადი სამართლის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც მისი დამფუძნებელი ხელშეკრულებების თანაბარი იურიდიული ძალა

გააჩნია, თუმცა ეს არ გულისხმობს ევროკავშირის უფლებამოსილებათა გაფართოებას ქარტიის გამოყენებასთან დაკავშირებით. მისმა ინსტიტუტებმა, ორგანოებმა და დაწესებულებებმა პატივი უნდა სცენ ქარტიაში გათვალისწინებულ უფლებებს. იგივე ვალდებულება ეკისრებათ წევრ სახელმწიფოებსაც, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ეკ-ის კანონმდებლობის იმპლემენტაციას ახდენენ.

და მაინც, ამგვარი შეზღუდვის პირობებში, ქარტიის წაკითხვის საქმეში, გადაწყვეტი სიტყვა ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლობა, რომელიც ასეთ პოზიციას აშკარად არ ეთანხმება.<sup>40</sup> მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სასამართლო თავიდანვე ინტეგრაციის ინტერესების მომსახურების მიზნით შეიქმნა და ადამიანის უფლებათა დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შემოწმება მისთვის მთავარი მოვალეობა არც უახლოეს მომავალში იქნება (იგი უფრო სასამართლოს თანმდევ საქმიანობად შეიძლება იქნას კვალიფიციურებული), ძირითადი უფლებების ქარტიის ძალაში შესვლის შემდეგ ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა ნათლად ცხადყოფს, რომ მართლმსაჯულების სასამართლო ყოველმხრივ ცდილობს, გააფართოვოს ქარტიის გამოყენების სფერო. მეტიც, ჩანს, რომ მისთვის სწორედ ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნება ის უმთავრესი წყარო, რომელსაც სასამართლო დაეყრდნობა ევროკავშირში ადამიანის უფლებათა დასაცავად.

39 იხ. Кудрявцев, supra სქოლიო 6, გვ. 105.

40 იხ. Рябова, supra სქოლიო 26, გვ. 185.

# THE CHARTER OF FUNDAMENTAL RIGHTS OF THE EUROPEAN UNION AS AN INSTRUMENT OF PROTECTION OF HUMAN RIGHTS

Irakli Papava

*Master of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
International Law Expert, lawyer at the Democratic  
Development Union of Georgia*

KEYWORDS: The Charter, Human rights, The European Union

## RESUME

The article is dedicated to the first catalogue of human rights at the level of the European Union. Especially it focuses on the issues of judicial protection of the rights declared in the Charter of Fundamental Rights, including the future prospects of the control mechanism of this instrument of human rights protection.

The Charter, adopted on 7 December 2000, reflects the EU's aspiration to increase the level and scope of legal protection of fundamental rights and freedoms within the Union. It is distinguished by the simplicity of formulations and unique classification of fundamental rights, based not on the subject of the fundamental rights, but on the values, which they protect.

Following the entry into force of the Lisbon Treaty in 2009 the Charter has the same legal value as the EU treaties; it is an integral part of the EU Primary Law. Therefore, special attention is paid to the issues of Charter's application as well as its attitude towards other human rights

ინტეგრირებული პაპაშვილი

instruments. Unclear or contentious provisions of the Charter are analysed through the prism of the past ten years of its application, including in the ECJ case-law. The ECJ case-law established after granting a binding force to the Fundamental Rights Charter, clearly demonstrating that the European Court of Justice is making every effort to expand the scope of its application. Moreover, it seems that exactly this important document will be the primary source that the Court will rely on for human rights protection within the EU.

#### BIBLIOGRAPHY:

1. Aleksidze L., 2010. Modern International Law. Publishing House "Innovation", Tbilisi. (In Georgian)
2. Gabrichidze G., 2012. European Union Law. Institute of European and Comparative Law Publishing House, Tbilisi. (In Georgian)
3. Gelashvili N., Kamarauli E., 2010. Judicial Practice of the European Union: Excerpts from Selected EU Court Judgments. German Technical Cooperation Agency (GTZ), Tbilisi. (In Georgian)
4. Deppe J., 2014. European Human Rights Standards and International Cooperation on the Example of the Right to Legal Aid in the Court. Protection of Human Rights and Legal Reform in Georgia: A Collection of Articles (ed. by K. Korkelia), GIZ (German Society for International Cooperation), Tbilisi, p. 9-28. (In Georgian)
5. Mirianashvili G., 2018. Doctrine of Supremacy of the European Union Law over Member State's Constitutions According to the Melloni Case. Journal of Constitutional Law, Vol. 2 (2018), p. 123-128. (In Georgian)
6. Papava I., 2018. Accession of the European Union to the European Convention on Protection of Human Rights and Fundamental Freedoms: Objective Necessity or Attempt to Reconcile the Incompatible? Analysis of the Opinion 2/13 of the Court of Justice of the European Union. Constitutional Law Review, 12, p. 97-118. (In Georgian)
7. Phirtskhalashvili A., Mirianashvili G., 2018. Human Rights Policy in the European Union Law. Tbilisi. (In Georgian)
8. Affirming fundamental rights in the European Union - Time to act: Report of the Expert Group on Fundamental Rights. European Commission, February 1999. (In English)
9. Editorial comments, 2001. The EU Charter of fundamental rights still under discussions. Common Market Law Review, Vol. 38 / Issue 1, p. 1-6. (In English)
10. Eeckhout P., 2002. The EU Charter of fundamental rights and the federal question. Common Market Law Review, 39, p. 945-994 (In English). [https://www.biicl.org/files/3273\\_eeckhout.pdf](https://www.biicl.org/files/3273_eeckhout.pdf) (05/11/2019)
11. Kruger, H. C., 2002. Reflections Concerning Accession of the European Communities to the European Convention on Human Rights. Penn State International Law Review, Vol. 21 / Issue 1, p. 89-99. (In English). <http://elibrary.law.psu.edu/psilr/vol21/iss1/10> (05/11/2019)
12. Sarmiento D., 2013. Who's afraid of the Charter? The Court of Justice national courts and the new framework of fundamental rights protection in Europe. Common Market Law Review, Vol. 50 / Issue 5, p. 1267-1304. (In English)
13. Thym D., 2013. Separation versus Fusion - or: How to Accommodate National Autonomy and the Charter? Diverging Visions of the German

- Constitutional Court and the European Court of Justice. *European Constitutional Law Review*, 9, p. 391-419. (In English)
14. Ispolinov A. S., 2015. The Charter of Fundamental Rights as an instrument of federalization of Europe. *Constitutional and Municipal Law*, 2, p. 72-76. (In Russian)
  15. Lepeshkov Y., 2007. The European Union and Human Rights. *Journal of International Law and International Relations*, 3, pp. 8-12. (In Russian)
  16. Meshcheryakova O. M., 2013. The Basic Principles of Protection of Human Rights in the Right of the European Union. *Bulletin of the Moscow University of the Ministry of Internal Affairs of Russia*, 12, p. 85-89. (In Russian)
  17. Ryabova V. O., 2016. The interaction between the Court of Justice of the European Union and the European Court of Human Rights in cases of protection of human rights after the Lisbon Treaty: The dissertation for obtaining the degree of candidate of legal sciences. MGIMO University, Moscow. (In Russian). [https://mgimo.ru/upload/diss/2016/ryabova\\_diss.pdf](https://mgimo.ru/upload/diss/2016/ryabova_diss.pdf) (05/11/2019)
  18. Entin M. L., Entina E. G., 2017. The impact of Human Rights Law on the progressive development of Contemporary International Law. Part II. *Moscow Journal of International Law*, 4, p. 31-49. (In Russian)
  19. <https://europa.eu> - Official website of the European Union. (In English)
  20. <https://curia.europa.eu> - Official website of the Court of Justice of the European Union. (In English)
  21. <https://www.europarl.europa.eu> – Official website of The European Parliament. (In English)
  22. <https://www.consilium.europa.eu> – Official website of the European Council and the Council of the European Union. (In English)
  23. <https://ec.europa.eu> - Official website of the European Commission. (In English)
  24. <https://www.coe.int> – Official website of the Council of Europe (In English).

## NOTES:

1. Gabrichidze G., 2002. Human Rights and European Community Law. *Protection of Human Rights in National and International Law: A Collection of Articles* (ed. by K. Korkelia), Tbilisi, p. 26-32. (In Georgian)
2. Papava I., 2017. *Legal Basis of the Functioning of the European Union: Fundamental Acts and Comments*. Tbilisi. (In Georgian)
3. Papava I., 2015. The European Union and Human Rights. *Georgian Journal for European Studies*, 1, p. 122-150. (In Georgian); p. 151-167. (In English)
4. Besselink L., 2014. The Parameters of Constitutional Conflict after Melloni. *European Law Review*, 4 (39), p. 531-552. (In English)
5. Burka G. de, 2003. Beyond the Charter: How Enlargement Has Enlarged the Human Rights Policy of the European Union. *Fordham International Law Journal*, Vol. 27 / Issue 2, p. 679-714. (In English). <https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1927&context=ilj> (03/11/2019)
6. Charter of Fundamental Rights of the European Union. *Official Journal of the European Union* C 326, 26.10.2012, p. 391-407. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:12012P/TXT&from=EN> (05/11/2019). (In English)

7. Editorial Comments, 2013. "Ultra vires - has the Bundesverfassungsgericht shown its teeth?" Common market law review, Volume 50 / Issue 4, p. 925-930. (In English)
8. Explanations relating to the Charter of Fundamental Rights. 14.12.2007. Official Journal of the European Union, 2007/C 303/02, pp. 17-35. (In English)
9. Federal Constitutional Court. Press release no. 31/2013 of 24 April 2013. Judgment of 24 April 2013 // 1 BvR 1215/07. (In English)
10. Lavranos N., 2103. The ECJ's Judgments in Melloni and Akerberg Fransson: Uneménage à trois difficulté. European Law Reporter, 4, p. 133-141. (In English)
11. Lenaerts K., Smijter de E., 2001. A "Bill of Rights" for the European Union. Common Market Law Review, Volume 38 / Issue 2, p. 273-300. (In English)
12. Rosas A., 2011. Is EU a human right organisation? First annual CLEER lecture. CLEER Working Papers, 1. <https://www.asser.nl/media/1624/cleer-wp-2011-1-rosas.pdf> (07/11/2019). (In English)
13. The European Court of Justice / Edited by Grainne de Burca and J.H.H. Weiler. Oxford University Press; New York, 2012. (In English)
14. Treaty Establishing a Constitution for Europe. Official Journal of the European Union, C310, 16 December 2004. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=OJ:C:2004:310:TOC> (05/11/2019). (In English)
15. Case 36-75, Roland Rutili v Minister for the Interior, Judgment of the Court of Justice of 28 October 1975. (In English)
16. Case C-309/96, Daniele Annibaldi, Judgment of 18 December 1997. European Court Reports 1997 I-7493. (In English)
17. Case C-540/03, Parliament v Council, Judgment of 27 June 2006. European Court Reports 2006 I-05769. (In English)
18. ECJ, Case C-617/10, Akerberg Fransson, Judgment of 26 February 2013. (In English)
19. ECJ, Case C-399/11, Stefano Melloni v. Ministerio Fiscal, Judgment of 26 February 2013. (In English)
20. ECJ, Case Opinion 2/13, Opinion of the Court (Full Court) of 18 December 2014, ECLI:EU:C:2014:2454. (In English)
21. Ispolinov A. S., 2012. EU Charter of Fundamental Rights: Lessons of the first three years in application. Eurasian Law Journal, 12 (55), p. 61-68. (In Russian)
22. Kashkin S. Y., 2001. The Charter of Fundamental Rights of the European Union. Comments. Moscow. (In Russian)
23. Kashkin S. Y., 2001. The Charter of Fundamental Rights of the European Union and the Law of the Council of Europe / Russia and the Council of Europe: prospects for interaction. A Collection of Papers. Moscow, Institute for Law and Public Policy, pp. 97-103. (In Russian)
24. Kazinyan A. G., 2003. The Charter of Fundamental Rights of the European Union. Moscow Journal of International Law, 1 (49), pp. 70-93. (In Russian)
25. Kudryavtsev M. A., 2015. The Charter of Fundamental Rights of the European Union: from Europe of States to Europe of Peoples? / International Human Rights Protection and State Sovereignty: Materials of the International Scientific and Practical Conference (ed. by Soshnikova T. A.). Publishing House of Moscow University for the Humanities, Moscow. p. 101-109. (In Russian)
26. Ryabova V. O., 2014. The European Convention on Human Rights

- and the EU Charter of Fundamental Rights - Comparative Analysis of Interpretation and Application by the European Court of Justice and the European Court of Human Rights. *Moscow Journal of International Law*, 4 (96), p. 175-188. (In Russian)
27. Shishkova N., 2012. The Charter of Fundamental Rights of the EU and the issues of the judicial protection. *Advokat (Lawyer)*, 11 (146), p. 6-8. (In Russian)
28. Ushakova T., 2002. The Charter of Fundamental Rights of the European Union: Two Steps Forwards and One Backwards in the European Integration Process. *Belarusian Journal of International Law and International Relations*, 2, p. 3-8. (In Russian)